

## კვირის მიმოხილვა

# 38, 8-14 დეკემბერი

8-14 დეკემბრის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- ინდივიდუალური შუღლის გაღვივებას ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის მიმართ ჰქონდა ადგილი;
- ისლამოფობიური და თურქოფობიული განწყობები ძირითადად გაზეთ "ასავალ-დასავალსა" და მედია-კავშირ "ობიექტივში" იყო წარმოდგენილი და უკავშირდებოდა როგორც სასულიერო განათლების საკითხს, ასევე სოციალურ პრობლემებს;
- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია ბაპტისტების და კვაკერების მიმართ იყო გამოხატული;
- რესპონდენტებთან ერთად ჰომოფობიურ განწყობებს მედიის (გაზეთი "კვირის ქრონიკა", ინტერნეტ-პორტალი "საქინფორმი") წარმომადგენლები აღვივებდნენ. აღსანიშნავია, რომ "საქინფორმი" პატიმართა წამების შემთხვევებს, რაც ფარული ვიდეო ჩანაწერების აღმოჩენის შემდეგ გამოვლინდა, ლგბტ თემის წარმომადგენლებთან აკავშირებდა;
- ანტიდასავლური განწყობები კვლავ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას და ლგბტ პირთა უფლებებს უკავშირდებოდა.



## ინდივიდუალური შუღლის გაღვივება

ასავალ-დასავალი, 8-14 დეკემბერი

**რეზო ამაშუკელი, პოეტი:** "აქედან მინდა მივმართო ჩირქით გასიებულ პედოფილ გივია თარგამაძეს - შენ ვის კლანებზე და რა ფინანსურ მაქინაციებზე ლაპარაკობ?! ცოდვასა და დანაშაულში ხარ ამომპალი და მალე საკუთარი გვამით მოგიწევს ყველაფერზე პასუხისგება!"

## შინაარსი

თურქოფობია	2-3
ქსენოფობია	4
რელიგიური ნიშნით	4
ჰომოფობია	4-5
სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება	5
ანტიდასავლური განწყობები	5-7

## თურქოფობია

ასავალ-დასავალი, 8-14 დეკემბერი

### ელიზბარ ჯავმელიძე, სახალხო კრება:

"ასლან აბაშიძის დროს აჭარა ქრისტიანდებოდა... წარმოიდგინეთ - ოჯახებში ბავშვები იყვნენ ქრისტიანები, ხოლო უფროსები - მაჰმადიანები! ახლა პირიქით ხდება..."

დღეს რა ხდება აჭარაში? დაახლოებით 32-33 ათასი უცხო თესლის ოჯახია ჩაწერილი აჭარაში, ანუ, სულ მცირე 150 ათასი საკუთრების მქონე უცხოელი ცხოვრობს და ეს არის ჩვენი ერის უდიდესი ტრაგედია! ძირითადად ესენი არიან თურქები."

ასავალ-დასავალი, 8-14 დეკემბერი

**ნიკოლოზ მუხამანაძე, „უფლებადამცველთა გაერთიანება“:** "დაფიქრებულა ვინმე, რას ასწავლიან და როგორ ზრდიან აჭარიდან წაყვანილ გაჭირვებულ ქართველ ახალგაზრდებს თურქულ მედრესეებში, სადაც ცხოვრების საუკეთესო პირობებს უქმნიან და მათგან თურქული მენტალიტეტის მქონე მუსლიმები, ისლამის თავგადაკლული მქადაგებლები გამოჰყავთ? არავითარი ქართული და ეროვნული ასეთ ბავშვებში არ არის. მათ მხოლოდ გვარ-სახელები აქვთ ქართული, თორემ სინამდვილეში აზროვნებით, რწმენით, მენტალიტეტითა და თავიანთი კულტურული იდენტობით, ისინი არიან თურქები!"

ოზიმატივი, ღამის სტუდია,  
11 დეკემბერი

**თენგიზ თავაღბერიძე, „აჭარის თავად აზნაურთა საკრებულო“:** "...სულთანმა ვერ ააშენა გურიაში მეჩეთი და ირანის შაჰმა ვერ ააშენა მეჩეთი კახეთის რეგიონში. შენ, რომ ქართველი კაცი ხარ, აჭარელი კაცი, ჩადი იქა საცხოვრებლად, იქაური მაცხოვრებელი მოგცემს ამის უფლებას?!.. მანდამაინც ნიგვზიანში უნდათ ოთხ კაცს

მეჩეთის აშენება, როცა 300 მეტი მეჩეთი, მედრესე, პანსიონატია აშენებული. 5-6 ათას კაცზე მეტი ბავშვი არის უცხო ქვეყანაში გაყვანილი, სადაც ყურან-კურსების სწავლებას გადიან. ამავე დროს აქ ადგილზე გაიხსნა მედრესე პანსიონები, სადაც ჩვენი ბავშვები, ჩვენი ეს გენოფონდი გადიან სწავლებას, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, აი, მაგ კურსებგავლილი 95 პროცენტის ბავშვები ქართული ორიენტაციის არ იქნება."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2470512](http://www.myvideo.ge/?video_id=2470512)

### ბონდო მიმინარაშვილი, წამყვანი:

ბატონო თენგიზ... როგორ შეიძლება ვუშველოთ ამ პრობლემას?... აი, ჩვენ ყველამ ერთად, რა შეიძლება მოვიმოქმედოთ იმისთვის, რომ არ დადგეს ისეთი დრო, როდესაც, ვთქვათ, 15-20-30 წლის შემდეგ, როდესაც შესაძლოა დაისვას საკითხი, არ მივიღოთ ისეთი სურათი, რომ აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც თურქეთში გაწვრთნილ, ნასწავლი იქნება სულ სხვა გადაწყვეტილებას მიიღებს?"

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2471066](http://www.myvideo.ge/?video_id=2471066)

ოზიმატივი, ღამის სტუდია,  
8 დეკემბერი

### ვასტანო ბაგიაშვილი, პატრიოტა

**ალიანსი:** "აჭარლებმა ბიზნესი ვერ განავითარეს პირიქით, რაც ჰქონდათ, ის წართვეს და ამ დროს ჩამოჰყავთ თურქები, რომლებსაც პირიქით სასათბურე პირობებს აძლევენ... ყმებათა ჰყავთ უკვე იქ დაყენებული საქართველოს მოქალაქეები და აი, ამაზე ჩვენ დღეს თუ არ ვთქვით და ვილაპარაკეთ, ხვალ შეიძლება გვიან იყოს".

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2468720](http://www.myvideo.ge/?video_id=2468720)



### ელიზბარ ჯავმელიძე, სახალხო კრება:

"დღეს რა ხდება აჭარაში? დაახლოებით 32-33 ათასი უცხო თესლის ოჯახია ჩაწერილი აჭარაში, ანუ, სულ მცირე 150 ათასი საკუთრების მქონე უცხოელი ცხოვრობს და ეს არის ჩვენი ერის უდიდესი ტრაგედია! ძირითადად ესენი არიან თურქები."

## თურქოფობია

ოზიქტივი, ღამის სტუდია,  
12 დეკემბერი

**ნათელა ჯინაძე, სოფელ კირნათის**

**მცხოვრები:** "ე.ი. თურქს უნდა მიყიდონ მიწა, მე საკუთარ ეზოში მიწა უნდა წამართვან, რომ დავამუშაო, ვიცხოვრო?!"

**მერაბ ლადაძე, წამყვანი:**

...წარმოიდგინე თურქი მესაზღვრეები გადმოვიდნენ საქართველოს საზღვარზე ძაღლები მიუსიეს ხალხს ისე გაყარეს თავიანთი მიწიდან, სადაც ამუშავებდნენ ნაკვეთებს..."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2471198](http://www.myvideo.ge/?video_id=2471198)

**ზურაბ ირემიაძე, ეკომიგრანტი**

**წალკიანი:** აჭარა დარჩა აჭარლების გარეშე... თურქები ჩამოსახლეს აჭარაში და დღეს თურქები ბატონობენ და თურქები განაგებენ.

**ნათელა ჯინაძე, სოფ. კირნათის**

**მცხოვრები:** როგორ შეიძლება რომ საზღვრის ახლოს მიწა გაყიდო, მით უმეტეს, თურქებს მიყიდო."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2471205](http://www.myvideo.ge/?video_id=2471205)

ოზიქტივი, ღამის სტუდია,  
9 დეკემბერი

**გენრი დოლიძე, პოეტი:** „ცუდია, რომ ბათუმი კაზინოების ქალაქად იქცა, ბორდელების ქალაქად აქციეს და ის, რაც თურქეთში იკრძალება და ნებისმიერ სხვა ქვეყანაში იკრძალება, იმ ყველაფრის სანაგვე ბუნკერად აქციეს ბათუმი და ძალიან ცუდია, რომ ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იყენებს სხვა ერი..."

ხშირად გამიგონია დიალოგებში, რომ ბათუმი ჩვენი და ჩვენ დაკარგეთ ეს დროებით და უნდა დავიბრუნოთ... ეს განცდა როგორ არ იქნება, სანამ იარსებებს თურქი ერი, როგორც რუსი ერი იარსებებს, ცალკე აღებული რუსები ძალიან მიყვარს... მანამდე იქნება განცდა, რომ საქართველო და სამხრეთ კავკასია მათი დაკარგული ტერიტორიაა. ასევე აქვთ თურქებსაც განცდა, რომ ბათუმი, აჭარა, ეს არის თურქეთის იმპერიის ნაწილი... მიზანმიმართულად მიდის რელიგიის, ისლამური რელიგიის გამოყენება თურქეთის იმპერიალისტური პოლიტიკის გასატარებლად.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2467492](http://www.myvideo.ge/?video_id=2467492)

**ღამით არქანაძე:** “სახლების შესყიდვა ხდება, სადაც სასწავლებლების გახსნა ხდება... და გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ სასწავლებლებში სწავლა უფასოა, კვება უფასოა, ხშირ შემთხვევაში ხდება ბავშვების მიბარება, სწავლა.

ადგილი აქვს მაინც იმ ქვეყნის ინტერესების გატარებას, რადგანაც იმ სასწავლებლებში გაზრდილი მოსწავლეების უმრავლესობას უკვე სულ სხვა სახელმწიფოებრივი ხედვა აქვს,.... რაც დიდ პრობლემად მესახება.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2467492](http://www.myvideo.ge/?video_id=2467492)

ალია, 10 დეკემბერი

**ცოტნე გამსახ შრდია, ექსპრეზიდენტ-**

**ის ვაჟი:** "ეს ყველაფერი [რუსი მომდერლის, გრეგორი ლეჰსის კონცერტთან დაკავშირებული საზოგადოებრივი პროტესტი] იმ ფონზე, როცა თითქმის სრულიად საქართველო ლამისაა თურქულად აჟღერტულდეს ამ სერიებზე და თურქების "დიდებულ საუკუნეს", რომელიც რეალურად ჩვენს ამოწყვეტა-მიწასთან გასწორებას ნიშნავდა, დითირამებს უმდერენ!"



**გენრი დოლიძე, პოეტი:**

„ცუდია, რომ ბათუმი კაზინოების ქალაქად იქცა, ბორდელების ქალაქად აქციეს და ის, რაც თურქეთში იკრძალება და ნებისმიერ სხვა ქვეყანაში იკრძალება, იმ ყველაფრის სანაგვე ბუნკერად აქციეს ბათუმი და ძალიან ცუდია, რომ ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იყენებს სხვა ერი..."

## ქსენოფობია

კვირის ქრონიკა, 8-14 დეკემბერი

**ელიზბარ დეკანოიძე, დეკანოზი:** "ეს მამა ამბროსი [საქართველოში მიავლინა საბერძნეთში] ტომით ბერძენი გახლავთ და ჩვენს წიაღში, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილია... მაგრამ ბუნებით მყრალია! მას შეეძლო ბერძენი ხალხისთვის ემოღვაწა, მაგრამ - არა! აბიბოს შავი ფულის კეთება და გათეთრება ქართველების კისერზე მოჯდომა არჩია".

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

ასავალ-დასავალი, 8-14 დეკემბერი

**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:**

"როგორც ვიცი ბაპტისტების კანტორის უფროსი მალხაზ სონდულაშვილი დადის იმ ე.წ. „ილიაუნში“ საქადაგებლად და თუ მართლმადიდებელ მოძღვარს აუკრძალეს ლექციების წაკითხვა, ბაპტისტების ლიდერს სასწავლებელში რაღა უნდა?"

კვირის ქრონიკა, 8-14 დეკემბერი

**ნიკოლოზ მჭავანაცხე, უფლებადა-მცველთა გაერთიანება:** "ამას წინათ, ინფორმაცია მომაწოდეს, რომ

საქართველოში არსებობს კვაკერების სექტა, 30-კაციანი ჯგუფია... აი, ამ კვაკერების მიერ ხდება კახა ბენდუქიძის უნივერსიტეტში საკონსტიტუციო სარჩელის შედგენა, რომლის თანახმადაც კვაკერები ითხოვენ საქართველოს ეკლესიისთვის 20%-იანი გადასახადის საშემოსავლო გადასახადის გაუქმებას, ვინაიდანაც მართლმადიდებლური ეკლესია არ უნდა იყოს გამორჩეულ მდგომარეობაშიო.

**თამარ ოქრუაშვილი, ჟურნალისტი:** აი, კვაკერებია გვაკლდნენ."

## ჰომოფობია

ასავალ-დასავალი, 8-14 დეკემბერი

**დათო ოქრუაშვილი, კულტურის**

**პალატის ხელმძღვანელი:** "ნატო-ში კი არა, სადაც გინდა შევიდეთ, ქართველი ხალხი სექსუალური უმცირესობების მიტინგებს და აქციებს არ დაუშვებს"...

ასავალ-დასავალი, 8-14 დეკემბერი

**თამაზ ფიშვილი, მწერალი:**

"ბუსუსებიანი პრეზერვატივების დაკანონების შემდეგ ქართველმა

დეპუტატებმა ჰომოსექსუალიტეტის მოთხოვნებიც დააკმაყოფილეს და ახლა, მოსასმენი აპარატურის პარალელურად, ტრ...კის გასაღებსაც ეძებენ!"

ასავალ-დასავალი, 8-14 დეკემბერი

**ნიკოლოზ მჭავანაცხე, უფლებადა-**

**მცველთა გაერთიანება:** "საკანონმდებლის სექტა მომავალ თაობაზე „ზრუნავს“!.. სადაც კი ნიჭიერი ბავშვი გამოჩნდება,



## კომოვობია

ის მაშინვე ლიბერასტების გარემოცვასა და ყურადღების ცენტრში ექცევა... ლევან ბერძენიშვილი და დანარჩენი ლიბერასტული სპექტრის წარმომადგენლები უკითხავენ ამ ნიჭიერ ბავშვებს რაღაც სისულელეებს და ასე ახალისებენ და უბიძგებენ, გახდნენ ლიბერასტები".

### კვირის ქრონიკა, 8-14 დეკემბერი

#### ბიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი:

"თბილისში პირველი ოფიციალური გეიკლუბი, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, სოდომ-გომორული ცოდვით შეპყრობილ ალქაჯთა თავშესაფარი იხსნება... გასაგებია, რომ ვაჭარაძე და მისი "ქათმების ამალა" თავს ბედნიერად ვერ იგრძნობენ, სანამ 17 მაისს რუსთაველზე კოლექტიურ კრიახს არ ატეხენ და პროსპექტზე კურტუმოების თამაშით არ

გაივლიან, მაგრამ თუკი მათ ამის საშუალება მიეცემათ, უფლებამუნახული უკვე მთელი საქართველო იქნება... გარდა ამისა, ასოცირების ხელშეკრულება პირდაპირ გვავალდებულებს, რომ ე.წ. სექსუალური უმცირესობები თავს დაცულად გრძნობდნენ. ეს კი არც მეტი, არც ნაკლები, იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში გეიკლუბიც უნდა არსებობდეს, "პედერასტები" აღლუმებსაც უნდა ატარებდნენ და ქორწინებასაც უნდა შეეძლოთ. აი, საით მიდის საქართველო."

### საქინფორმი, 11 დეკემბერი

"სპეციალური ჯალათები - მამათმავლები, ასევე სადისტები - ე. წ. ძალოვანი სტრუქტურების - შსს-ს, სამხედრო პოლიციისა და სააკაშვილის პენიტენციარული სისტემის სადისტი-თანამშრომლები ძალადობენ მამაკაცებსა და მოზარდებზე".  
<http://bit.ly/1BkVPj0>

## სემსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება

### ასავალ-დასავალი, 8-14 დეკემბერი

**ბიორგი ბიბაური, ჟურნალისტი:** "...უკრაინაში შინაგან საქმეთა მინისტრის (აღიარებული პედერასტის!) არსენ ავაკოვის..."

## ანტიდასავლური განწყობები

### ასავალ-დასავალი, 8-14 დეკემბერი

**თემურ მირიანაშვილი, ედუარდ შევარდნაძის ყოფილი მრჩეველი:** "საქართველოს გადაარჩენს მართლმადიდებლურ რუსეთთან ურთიერთობა... ამიტომ არის, რომ ამერიკის მსტოვრები, საქართველოში არსებული მეხუთე კოლონა, გააფრთხილებით იბრძვიან დღეს რუსეთის წინააღმდეგ. ეს არასამთავრობოები, აბსოლიტურად ყველანი ხომ დასავლეთიდან იღებენ ფულს? მათ ხომ სამშობლო არ აინტერესებთ?"

## ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გ. 5

კავკასია, სპექტრი, 11 დეკემბერი

**გობა სანდრაჰა, რეჟისორი:** "დასავლეთის და რუსეთის დაპირისპირება ტყდება უკრაინელი ხალხის ზურგზე... მხარდაჭერა, მხოლოდ სიტყვიერი და რეზოლუციებით ჩვენ 2008 წელში მშვენივრად ვნახეთ, ეს მხარდაჭერა წყლით და პამპერსებით დამთავრდა და ვთქვათ ამერიკულმა ხომალდმა ვერ გაბედა ფოთში შესვლა..."

საქართველოს გამოუცხადეს ბრძოლა, როგორც გარედან, ისე შიგნიდან. ყველა ბერკეტი არის ამუშავებული იმისთვის, რომ ქვეყანამ საკუთარი ინტერესები ვერ დაიცვას, რომ ქვეყანა იყოს ჩამოკიდებული, ან ვაშინგტონზე, ან მოსკოვზე, ან ბრიუსელზე, ან პეკინზე - არ ვიცი რაზე და არა საკუთარ ფესვზე, საკუთარ, ასე ვთქვათ, ფუნდამენტზე, საკუთარი ხალხის იმედებზე და ზრახვებზე და ინტერესებზე."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2470484](http://www.myvideo.ge/?video_id=2470484)

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2470487](http://www.myvideo.ge/?video_id=2470487)

ოზიმეტივი, ღამის სტუდია,  
10 დეკემბერი

**აკონდო მინარაშვილი, წამყვანი:** "თავმოყვარე ქვეყნებში ვერცერთი ქვეყნის ელჩი ვერ ბედავს იმგვარი განცხადებების გაკეთებას, როგორც საქართველოში შეერთებული შტატების ელჩი."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2472986](http://www.myvideo.ge/?video_id=2472986)

საქინფორმი, 8 დეკემბერი

**არნო სიღირაპიშვილი, საქინფორმის**

**მთავარი რედაქტორი:** "ცუდია, რომ..."

საქართველო დღეს - არა „ჩამორჩენილი“ რუსეთის, მისი სანედლეულო ეკონომიკით, არამედ ცივილიზებული ევროპისა და მაღალტექნოლოგიური აშშ-ის პარტნიორია! რომლებიც საქართველოში, ლუგარის ლაბორატორიაში ვირუსების გარდა, არაფერს არ აწარმოებენ."

<http://bit.ly/1vKsvz8>

იმედი, რეაქცია, 12 დეკემბერი

**ნოდარ მგალობლიშვილი, მსახიობი:**

"ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა ერთმა ადამიანმა [ზურაბ ჟვანია] როდესაც თქვა, რომ ვარ ქართველი და ვარ ევროპელი, ეს იყო ყველაზე დიდი დანაშაული მემგონი იმ ადამიანის... ყველანაირი კავშირი არის კაბალა, როგორც საბჭოთა კავშირი იყო, ასე ევროკავშირიც იქნება. წავა მთელი ახალგაზრდობა, როგორც კი გაიხსნება გზა და ჩამოვლენ ავადმყოფები".

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2471115](http://www.myvideo.ge/?video_id=2471115)

GEWORLD.GE, 11 დეკემბერი

**ლონდონ ტაბაჟა, აფხაზეთის მთავრობის მრჩეველთა ბიუროს ხელმძღვანელი:**

„რევანშიზმის არსი ხომ ძალაუფლების დაბრუნებაა, რათა შემდგომ დაიკმაყოფილო ცხოველური ინსტინქტები ადამიანების გვამებზე სიარულით, თუმცა რევანშიზმისთვის პირობებია საჭირო. ამ საქმეში “ნაცები” მხოლოდ ოკეანისგაღმელი მამების იმედად ვერ იქნებიან, მთავარი ხალხია... ერთადერთი კერპის იმედად ყოფნას, იქნებ სჯობს, შემოვიყვანოთ სხვა წონადი მოთამაშეებიც, რუსეთს ვგულისხმობ, და არ ვიყოთ მუდმივ შიშში, - ძია სემი არ განრისხდესო."

<http://bit.ly/131et48>

GEWORLD.GE, 10 დეკემბერი

**ნანა დევიდარიანი, ავტორი:** "მეტი

საქართველო ნატოში"... ერთადერთს ნიშნავს - იაფი ქართველი ჯარისკაცების გაგზავნას მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში..."

დანარჩენი საქართველოს ნატოს ბაზად ქცევა საქართველოს სამუდამოდ დააკარგვინებს შანსს, ოდესმე მაინც აღიდგინოს მთლიანობა"

<http://bit.ly/1zW8477>

GEWORLD.GE, 11 დეკემბერი

**არამაზ სანუბლიძე, ავტორი:** „უკრაინელი ხალხის, ისევე, როგორც ჩვენი მოქალაქე-

## ანტიდასავლური განწყობები

ების, მაღალკეთილშობილური მისწრაფებებით სწორედ ვაშინგტონი და ბრიუსელი, მათი გავლენის აგენტები და სპეცსამსახურები მანიპულირებდნენ. ეს იყო საბჭოთა მემკვიდრეობის ტალახში მაქსიმალურად ამოთხვრა და სრული უგულვებელყოფა... აშშ-ის საელჩო რომ აქტიურად ამზადებდა სახელმწიფო გადატრიალებას უკრაინაში, დღეის გადასახედიდან საიდუმლო აღარ არის... "ფერადი რევოლუციების" გამოცდილებამ დაგვარწმუნა, "სახალხო მღელვარების" ორგანიზატორებს ძმათამკვლელი დაპირისპირების შესაძლებლობა თავიანთ გეგმებში ყოველთვის იმთავითვე ჰქონდათ ჩადებული. .. სწორედ ასე და ამ გზით გაბატონდება მსოფლიოში იგი - "აპოკალიფსისის მხეცი". <http://bit.ly/1A2kDOn>

### GEWORLD.GE, 11 დეკემბერი

#### თამარ ღავითულიანი, ავტორი:

"ამერიკული პროპაგანდის მანქანა თავიდანვე ზრდის მოქალაქეს იმგვარად, რომ იგი მაშინაც ამაყობს საკუთარი სახელმწიფოთი, როცა საამაყო არაფერია. სამაგიეროდ, ამ დაავადებით შეპყრობილ ადამიანებს აშშ ფართო გზას აძლევს იმ სახელმწიფოთა სათავეში მოსაყვანად, რომლებშიც საკუთარი ინტერესები აქვს განსახორციელებელი. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი პირდაპირ აცხადებს: "მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა და ტრადიციები! ლგბტ-თა უფლებები უფრო მაღლა დგას, ვიდრე კულტურა და ტრადიციები!" ბაიდენს სხვისი კულტურა და ტრადიციები არ აინტერესებს, ჩვენებურ "სპეციალური ჯიშის მოხელეებს" ან მოხელეობას მოწყურებულ არასამთავრობოებს კი - საკუთარი!" <http://bit.ly/16oa5yc>

### GEWORLD.GE, 11 დეკემბერი

#### გივი სომხიშვილი, მწერალი:

"იმას კი ვერ ამჩნევენ, რომ მონღოლთა ნოინივით ჩამომჯდარი ამერიკის ელჩი ხელისუფლების სამზარეულოს ყველა ქვაბში უბოდიშოდ ყოფს ცხვირს, რათა მისი გემოვნებისთვის შეუფერებელი კერძი არ მოამზადონ და ნამდვილი ქართული, მაღლიანი და გემრიელი სიკეთით სავსე ქვაბი არ შემოდგან მამაპაპურ შუა ცეცხლზე. ეს ის ამერიკაა, რომლის პრეზიდენტი თავის ყველაზე დიდ მიღწევად ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას რომ თვლის..."

ამ ადამიანების მორალურ, ზნეობრივ, სულიერ და სქესობრივ გადაჯიშებაში ბოლომდე რომ გავერკვეთ, გავიხსენოთ რომის პაპისა და მისი კარდინალების მიერ ჰომოსექსუალების შესახებ მიღებული უფლისმაგინებელი და სატანისმადიდებელი კანონი ერთსქესიანთათვის ქორწინების უფლების მიცემაზე: "მათ აქვთ ღვთისგან მინიჭებული განსაკუთრებული მადლი, რომელიც ქვეყნიერებას გამოადგება". ამის შემდეგ ლესბოსელთა და პედერასტთა გარყვნილების ამბავს რომ მოვისმინოთ, უნდა ვთქვათ, თქვე მადლიანებო." <http://bit.ly/1sy7yfd>

### კვირის ქრონიკა, 8-14 დეკემბერი

#### გიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი:

"დასავლეთის მიერ არეული და აწეწილი უკრაინა უზარმაზარ საცდელ ლაბორატორიად იქცა... დასავლეთმა სააკაშვილის კრიმინალურ ხროვას საშუალება მისცა, საქართველოსთვის მეორე ფრონტი გაეხსნა და ახლა უკვე გარე ძალის, ანუ უცხო სახელმწიფოს ბერკეტებით შეეტია."